“ა” კლასის ოსტატთა შეხვედრები

კიევში ნ.ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა სეზონის ერთ–ერთი საინტერესო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ კიევისა და თბილისის “დინამოს” ოსტატები.

მიუხედავად ორმხრივი მწვავე იერიშებისა პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. ენერგიულად, სრული დატვირთვით მუშაობდნენ ორივე გუნდის მეკარეები – ე. მარღანია და ო. მაკაროვი და მცველები. თამაშის მეორე ნახევარში საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. არხიპოვმა (მოსკოვი) მოედნიდან გააძევა თბილისელთა მარცხენა გარემარბი ნ. თოდრია და გუნდში დარჩა 10 მოთამაშე. მიუხედავად ამისა, თბილისელებს არ შეუნელებიათ იერიშები და მალე წარმატებასაც მიაღწიეს – ა. ღოღობერიძის მიერ ზუსტად დარტყმული ბურთი კიეველთა კარში გავიდა. ეს ანგარიში 1:0 თბილისის “დინამომ” თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა და მოიპოვა მეტად საჭირო ორი ქულა.

“ლელო”, 3 ივნისი, 1953 წ.